საქმე №3/545-04წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
## საქართველოს სახელით

01 აპრილი 2004წ. ქ.თბილისი

ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ თ.ყაჭეიშვილმა, ს.გაგნიძის მდივნობით, მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს წარმომადგენლების მ.ბარბაქაძის, ქ.კვინიკაძის, მოპასუხე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის გ.ბახტურიძის, მოპასუხე საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის შ.ჯანხოთელის, მესამე პირების: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლის მ.ივანიაშვილის, "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი"-ს მილსადენის კომპანიის (საქართველო) წარმომადგენლის ნ.ღვინაძის, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის წარმომადგენლის ქ.გოგნაძის მონაწილეობით, განვიხილე №3/545-04წ ადმინისტრაციული საქმის მასალები ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს სარჩელსა გამო, პირველი მოპასუხის – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და მეორე მოპასუხის – საქართველოს პარლამენტის, მესამე პირების: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" მილსადენის კომპანიის (საქართველო) და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის მიმართ ქმედების განხორციელების შესახებ,-

<u>აღწერილობითი ნაწილი:</u>

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-მ სარჩელი აღძრა თბილისის საოლქო სასამართლოში მოპასუხეების: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, საქართველოში რეგისტრირებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია "საქართველო"-ს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოს პარლამენტის აპარატის მიმართ, მესამე პირი ს/ს "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია", შემდეგი მოთხოვნებით:

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2002 წლის 30 ნოემბერს გაცემული №0011 გარემოს დაცვითი ნებართვის ბათილად ცნობა.

2. დაევალოს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სრულყოფილად უზრუნველყოს საზოგადოების მონაწილეობა "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" მილსადენის კომპანია "საქართველოსათვის" გარემოს დაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

3. დაევალოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოს პალამენტის აპარატს, დაუყოვნებლივ უზრუნველყონ "საქართველოს, აზერბაიჯანის რესპულიკისა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ" ხელშეკრულების და მისი ყველა დანართის ოფიციალური გამოქვეყნება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 24 ივნისის განჩინებით სარჩელი პირველი მოთხოვნის თაობაზე მიღებული იქნა წარმოებაში, ხოლო დანარჩენი მოთხოვნების ნაწილში განსახილველად გადაეგზავნა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს.

ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 24 დეკემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის წარმომადგენლის მ.ბარბაქაძის შუამდგომლობა და

ადმინისტრაციულ საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოს პარლამენტის აპარატის მიმართ, საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ" ხელშეკრულების და მისი ყველა დანართის ოფიციალური გამოქვეყნების უზრუნველყოფის შესახებ და საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს.

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-მ შემდგომში დაზუსტებული სარჩელით მომართა სასამართლოს და მოპასუხეებად მიუთითა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და საქართველოს პარლამენტი, ხოლო მესამე პირებად – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, საქართველოში რეგისტრირებული ბაქო-თბილისის-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ფილიალი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი კომპანია "საქართველო" და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია.

მოსარჩელემ თავისი მოთხოვნა დაამყარა შემდეგ გარემოებებზე: 2000 წლის 31 მაისს საქართველოს პარლამენტმა №341 დადგენილებით რატიფიცირება გაუკეთა "საქართველო-აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით "ბაქო-თბილისის-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანპორტირების შესახებ" ხელშეკრულებას დანართებთან ერთად.

რადგან საქართველოს პარლამენტმა ხელშეკრულების რატიფიკაციის გზით საქართველოსათვის მის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობა გამოხატა, ხელშეკრულება, მისი ძალაში შესვლის შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებით ოფიციალურად უნდა გამოქვეყნებულიყო "პარლამენტის უწყებანში" "საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად. "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი ოფიციალურად ასევე უნდა გამოქვეყნებულიყო "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში". ვინაიდან ხელშეკრულება დღემდე ოფიციალურად არ გამოქვეყნებულა, უხეშად ირღვევა საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული როგორც მოსარჩელის, ასევე საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის უფლებები.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ვინაიდან მოპასუხე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დღეისათვის შეასრულა თავისი მის და პარლამენტს გაუგზავნა მოთხოვნა ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების გამოქვეყნების შესახებ, ქმედების განხორციელებას მოითხოვენ მეორე მოპასუხისაგან – საქართველოს პარლამენტისაგან.

საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა სარჩელი არ სცნო და განმარტა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ხელშეკრულების გამოქვეყნების თაობაზე წარდგინებით პარლამენტს მიმართა 2004 წლის 30 მარტს, საიდანაც უნდა დაიწყოს ვადის ათვლა. მანვე, ერთის მხრივ, დაადასტურა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება უნდა გამოქვეყნდეს, მეორეს მხრივ კი აღნიშნა, რომ ხელშეკრულება ვერ გამოქვეყნდება ვერც "საქართველოს პარლამენტის უწყებებში" და ვერც "საქართველოს პარლამენტის უწყებანში", რადგანაც "საქართველოს პარლამენტის უწყებანი" აღარ გამოდის 1998 წლის ოქტომბრიდან. "საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონი სწორედ "საქართველოს პარლამენტის უწყებანზე უთითებს და არა "საქართველოს უწყებებზე", რომელიც თავის მხრივ აღარ გამოდის 1995 წლის ოქტომბრიდან. ასეც, რომ არ იყოს "საქართველოს პარლამენტის უწყებებში" "აგრეთვე" გამოქვეყნებას ექვემდებარება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტები და არა ყველა ნორმატიული აქტი. საქართველოს

საერთაშორისო ხელშეკრულება კი არ წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტს, მან მხოლოდ მისი რატიფიცირება მოახდინა.

მოპასუხე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა სარჩელს მხარი დაუჭირა და განმარტა, რომ ხელშეკრულება 2000 წელს მათ მიერ გადაეგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრში შესატანად, სარეგისტრაციო კოდის მისანიჭებლად და გამოსაქვეყნებლად, მაგრამ გამოქვეყნდა მხოლოდ პარლამენტის დადგენილება ხელშეკრულების რატიფიცირების თაობაზე და არა ხელშეკრულების ტექსტი დანართებითურთ. ამის შემდეგ, საგარეო საქმეთა სამინისტროს "საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად აღარ მიუმართავს პარლამენტისათვის, რადგანაც იფიქრეს, რომ იუსტიციის სამინისტრო გადაუგზავნიდა პარლამენტს ხელშეკრულებას გამოსაქვეყნებლად, რაც ასე არ მოხდა. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად, 2004 წლის 30 მარტის წერილით მიმართეს პარლამენტს, რის გამოც სარჩელში მითითებული მოთხოვნა მათ მიერ შესრულებულია. ხელშეკრულება დანართებითურთ კი ექვემდებარება გამოქვეყნებას "პარლანეტის უწყებანში".

მესამე პირების: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი, კომპანია "საქართველოს"-ს, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის წარმომადგენლებმა სარჩელს მხარი დაუჭირეს, მოითხოვეს მისი დაკმაყოფილება და ხელშეკრულების ოფიციალური გამოქვეყნება დანართებითურთ.

<u>სამოტივაციო ნაწილი:</u>

მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, გამოიკვლია და შეაფასა საქმის მასალები, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 31 მაისი №341-IIს დადგენილებით რატიფიცირებული იქნა სტამბოლის 1999 წლის 18 ნოემბრის "საქართველოს აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისის-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ" ხელშეკრულება დანართებთან ერთად.

ასევე დადგენილია, რომ ხელშეკრულების რატიფიცირების თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილება გამოქვეყნდა "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" (2000 წლის 07 ივნისი, №51, მუხლი 481), რაც შეეხება აღნიშნული ხელშეკრულების და მისი დანართის ტექსტების გამოქვეყნებას, ისინი არ გამოქვეყნებულა, თუმცა "საქარათველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად საქართველოს ყველა საერთაშორისო ხელშეკრულების გამოქვეყნება სავალდებულოა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა კრებულში.

სასამართლოს მიერ ვერ იქნება გაზიარებული მეორე მოპასუხის - საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის განმარტება, რომლის თანახმადაც პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულება არ წარმოადგენს რა პარლამენტის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტს, არ შეიძლება გამოქვეყნდეს მის მიერ "საქართველოს პარლამენტის უწყებანში".

აღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი, ისევე როგორც პროცესის ყველა მონაწილე მიიჩნევს, რომ ხელშეკრულება აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურად, მოსარჩელეები კი არ მოითხოვენ მის გამოქვეყნებას კონკრეტულ ორგანოში:

მათთვის მთავარია, რომ საქართველოს პარლამენტმა უზრუნველყოს ხელშეკრულების ოფიციალური გამოქვეყნება.

"საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, "ოფიციალურად გამოქვეყნებული საქართველოს საერთაშორისო დებულებები, რომლებიც ადგენენ კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებენ დამატებით შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას, საქართველოში მოქმედებენ უშუალოდ. აღნიშნული ხელშეკრულება სწორედ ასეთი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, ის ადგენს კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებს დამატებითი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს ხელშეკრულება "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" (ორჰუსის კონვენცია) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენს "გარემოსდაცვით ინფორმაციას". ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ეს ინფორმაცია სრულად, ობიექტურად და დროულად უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი, როგორც მოსარჩელეებისათვის, ასევე საზოგადოების სხვა წარმომადგენლებისათვის.

ამავე კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ცალსახად აფიქსირებს, რომ საქართველო ვალდებულია საკუთარი კანონმდებლობის ფარგლებში მიიღოს ზომები, რათა გაავრცელოს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებები. საერთაშორისო ხელშეკრულების ოფიციალურად გამოქვეყნება კი კონვენციის გავრცელების ის ფორმაა, რომელიც უშუალოდაა რეგლამენტირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებით, მაგრამ დღემდე არ განხორციელებულა.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების ოფიციალურად გამოუქვეყნებლობის გამო ილახება როგორც მოსარჩელეების, ასევე საქართველოს მოქალაქეთა უფლებები გარემოსდაცვით ინფორმაციაზე, რადგანაც მოკლებულნი არიან შესაძლებლობას უშუალოდ ისარგებლონ ხელშეკრულების დებულებებით. ხელშეკრულების გამოუქვეყნებლობის გამო, სასამართლოს აზრით, მოსარჩელე ასოციაცია, "მწვანე ალტერნატივა" მოკლებულია შესაძლებლობას უშუალოდ ისარგებლოს ხელშეკრულების დებულებებით საწესდებო მიზნებისა და უფლებების განსახორციელებლად საქართველოში. ხელშეკრულების გამოუქვეყნებლობა მას ასევე უზღუდავს შესაძლებლობას ისარგებლოს ხელშეკრულების ტექსტით გარემოსდაცვითი მიზნებისათვის.

საქართველოს ასკ-ის 24-ე მუხლის თანახმად სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი ქმედების განხორციელების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციული აქტის გამოცემას. სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

სასამართლოს ერთის მხრივ, დადგენილად მიაჩნია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს პარლამენტის ხელშეკრულების ოფიციალურად გამოქვეყნების თაობაზე წარდგინებით მიმართა მხოლოდ 2004 წლის 30 მარტს, მაგრამ, მეორეს მხრივ, აკმაყოფილებს რა სარჩელს, მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ პარლამენტის წარმომადგენლის განმარტებითი ხელშეკრულება პარლამენტის მიერ ვერცერთ შემთხვევაში გამოქვეყნებული ვერ იქნება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე საქართველოს პარლამენტს უნდა გადახდეს სახელმწიფო ბაჟი 30 ლარის ოდენობით.

<u>სარეზოლუციო ნაწილი:</u>

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ასკ-ის 1(2) მუხლით, მე-2(2) მუხლის "ბ" ქვეპუნქტით, მე-5, 24-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 243-244-ე, 247-ე, 249-ე, 369-ე მუხლებით,

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს სარჩელი დაკმაყოფილდეს.

დაევალოს მეორე მოპასუხეს – საქართველოს პარლამენტს უზრუნველყოს მის მიერ 2000 წლის 31 მაისს №341-II6 დადგენილებით რატიფიცირებული "საქართველოს აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ" ხელშეკრულების ოფიციალურად გამოქვეყნება დანართებთან ერთად.

მასვე გადახდეს მოსარჩელის სასარგებლოდ მის მიერ გაღებული სახელმწიფო ბაჟის ხარჯი – 30 (ოცდაათი) ლარი.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატაში (გრ.რობაქიძის №7ა) ერთი თვის განმავლობაში მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის გადაცემიდან, ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მეშვეობით (ქ.წამებულის ქ.№11).

მოსამართლე: თ.ყაჭეიშვილი